

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia)
სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №56

ქ. თბილისი

2019 წლის 25 ოქტომბერი

განსახილველი საკითხები:

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (SDSU), სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევის ფონდსა (SDSURF) და სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) შორის 2015 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 1ბ) და ინფორმაცია აღნიშნული ხელშეკრულების ცვლილებების პროექტის შესახებ (დანართი 1ა).
2. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia), სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა (SDSU) და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით ფონდს (SDSURF) შორის გასაფორმებელი საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის (GRDF) ამონაგები თანხების გამოყენების თაობაზე ხელშეკრულების პროექტი (დანართი 2ბ) და ინფორმაცია აღნიშნული ხელშეკრულების პროექტის შესახებ (დანართი 2ა).
3. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აქტივების გადაცემის ხელშეკრულებები.

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. მოწონებულ იქნას სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (SDSU), სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევის ფონდსა (SDSURF) და სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) შორის 2015 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი და მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მალრაძეს, გააფორმოს აღნიშნული ხელშეკრულება (დანართი 1ბ). მოწონებულ იქნას ინფორმაცია ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე (დანართი 1ა).
2. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia), სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით ფონდს შორის გასაფორმებელი საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის

(GRDF) ამონაგები თანხების გამოყენების თაობაზე ხელშეკრულები პროექტი და მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მარაძეს, გააფორმოს აღნიშნული ხელშეკრულება (დანართი 2ბ). მოწონებულ იქნას ინფორმაცია ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე (დანართი 2ა).

3. მოწონებულ იქნას:

ა) სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის გასაფორმებელი აქტივების გადაცემის ხელშეკრულების პროექტი (დანართი 3ბ);

ბ) სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს შორის გასაფორმებელი აქტივების გადაცემის ხელშეკრულების პროექტი (დანართი 3გ);

გ) სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გასაფორმებელი აქტივების გადაცემის ხელშეკრულების პროექტი (დანართი 3დ);

დ) სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გასაფორმებელი აქტივების გადაცემის ხელშეკრულების პროექტი (დანართი 3ე);

ე) სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) და საქართველოში სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდის ფილიალს შორის გასაფორმებელი აქტივების გადაცემის ხელშეკრულების პროექტი (დანართი 3ვ).

მოწოდებულ იქნას ინფორმაცია ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების თაობაზე (დანართი 3ა).

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს ადასტურებენ ხელმოწერით:

გიორგი გახარია
საქართველოს პრემიერ-მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

მიხეილ ბატიაშვილი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ივანე მაჭავარიანი
საქართველოს ფინანსთა მინისტრი


თეა წულუკიანი

საქართველოს იუსტიციის მინისტრი



დავით ზალკალიანი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი



ნინო ჩინჩალაძე

საერთაშორისო განათლების ცენტრის
დირექტორი

